

GRASS
REFORMANDA



საქართველოს გზა

ევროკავშირში

გაწევრიანებისაკენ

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: თორნიკე ზურაბაშვილი

რედაქტორი: პაატა გაფრინდაშვილი

პოლიტიკის დოკუმენტი გამოცემულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი

2017 წლის 27 მარტს, უვიზო რეჟიმის ამოქმედებამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ, ევროპის კავშირში გაწევრიანების თაობაზე საქართველოს ხელისუფლების სურვილი კიდევ ერთხელ დაადასტურა. მისი განცხადებით: “ჩვენი ამბიციია, საქართველო გახდეს ევროპის კავშირის სრულფასოვანი წევრი, ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებისთვის, საჭიროა ქვეყანა მაქსიმალურად მოემზადოს პრაქტიკული თვალსაზრისით.”

ჯანელიძის თქმით, ევროპის კავშირში გაწევრიანება “მხოლოდ კომპლექსური და ყოვლისმომცველი ხედვისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებით” არის შესაძლებელი. მანვე დასძინა, რომ მთავრობას ასეთი გეგმა შემუშავებული აქვს და “ძალისხმევას არ დაიშურებს” მის განსახორციელებლად. საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით, აღნიშნული გეგმა ექვს ძირითად მიმართულებას ეფუძნება და პოლიტიკურ, საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და ფიზიკურ ინტეგრაციას მოიცავს.¹

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ მიმდინარე წლის 15 მარტს განაცხადა, რომ საქართველოს საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა. ამ მიზნით განაცხადის გაკეთებას კი, სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, შესაბამისი ნიადაგის მომზადება სჭირდება.²

ევროპის კავშირში გაწევრიანების საკითხზე ისაუბრა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც 2017 წლის საპარლამენტო მოხსენებაში. მისი თქმით, საქართველომ აქტიური მუშაობა უნდა დაიწყოს აპლიკანტ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად. ამისათვის საჭირო წინაპირობებად კი, “დემოკრატიის გაძლიერება, ინსტიტუტების მდგრადობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა, ეკონომიკის განვითარება და რეალურად მოქმედი ევროპული სამართლებრივი სისტემის შექმნა” დაასახელა.³

ევროპის კავშირში გაწევრიანება “უალტერნატივო პრიორიტეტად” გამოცხადდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 29 დეკემბერს ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში “საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ.” დოკუმენტის თანახმად, “ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის საფუძველზე, საქართველო ისწრაფვის ევროკავშირის წევრობისკენ.”⁴

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - მიხეილ ჯანელიძე: ჩვენი ამბიციია, საქართველო გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <http://mfa.gov.ge/News/mikheil-janelidze-chveni-ambiciaa-saqartvelo-gakh.aspx>

² საქართველოს “არაისტერიული პოლიტიკა” EU-ში გაწევრიანების გზაზე – ინტერვიუ ვიქტორ დოლიძესთან. ხელმისაწვდომია: <http://netgazeti.ge/opinion/180272/>

³ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება, საქართველოს პრეზიდენტი. ხელმისაწვდომია: <https://www.president.gov.ge/ka-GE/pressamsakhuri/siakhleebi/saqartvelos-prezidentis-2017-clis-yovelcliuri-sapa.aspx>

⁴ საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია “საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ,” საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: <http://parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/resolution.page>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილი არახალია და მასზე მსჯელობა თითქმის ორი ათეული წელია მიმდინარეობს, ხელისუფლების წარმომადგენელთა ბოლოდროინდელი განცხადებები გარდამტეხ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს. თუ აქამდე ევროპის კავშირში გაწევრიანების შესახებ საუბრები არარეგულარულად მიმდინარეობდა და მას, უმეტესად, ზედაპირული ხასიათი ჰქონდა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ამ განცხადებებით პირველად დაფიქსირდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ევროპის კავშირში გაწევრიანების მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს.

ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილის მკაფიოდ დაფიქსირება ცალსახად მისასაღმებელია, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გაერთიანებაში შესვლა, პოლიტიკური ნების გარდა, სხვა მრავალი წინაპირობის შესრულებას და ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესის გავლას მოითხოვს.

ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები კომპლექსურობას საჭიროებს: ერთი მხრივ, უნდა მოხდეს ევროპის კავშირში გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმებისადმი საქართველოს თავსებადობის ზედმიწევნით შესწავლა და ამ კრიტერიუმების განხორციელებისთვის მზადება, ხოლო მეორე მხრივ, უნდა მოხდეს გაწევრიანების პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, მათ შორის გაფართოების მიმართ ევროპაში არსებული ვითარების გათვალისწინება. საჭიროა ერთიანი უწყებათაშორისი ხედვისა და ევროკავშირში საქართველოს **გაწევრიანების საგზაო რუკის (Roadmap)** შემუშავება, რაც გაწევრიანების გზაზე საქართველოს მთავრობის მიზნებს, ამოცანებს და გადასადგმელ (ასევე მიმდინარე) ნაბიჯებს მოუყრიდა თავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიზნის მისაღწევად მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა არ კმარა და მიზანშეწონილია ამ პროცესში დაინტერესებული საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

წინამდებარე დოკუმენტი, ორ მიზანს ემსახურება. დოკუმენტი მიმოიხილავს ევროპის კავშირში გაწევრიანების საკანონმდებლო ბაზასა და პროცედურებს, განიხილავს გაერთიანებაში გაწევრიანების ორ ალტერნატიულ გზას და პასუხობს კითხვებზე, თუ როდის და როგორ სჯობს გაწევრიანების გზაზე შემდგომი ნაბიჯების გადადგმა.

მეთოდოლოგია

კვლევის პროცესი 2017 წლის თებერვალ-მარტში განხორციელდა. კვლევის მასალა სამაგიდე კვლევისა და პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით შეგროვდა.

საწყის ეტაპზე, მოხდა ევროპული ინტეგრაციის თემაზე არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშების, გაწევრიანების კანონმდებლობისა და პროცედურების მოძიება და ანალიზი. კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩატარდა

ნახევრადსტრუქტურირებული ჩადრმავეებული ინტერვიუ ექსპერტებთან, პოლიტიკური პარტიებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, ვისაც საკვლევ თემასთან პირდაპირი ან ირიბი პროფესიული შეხება აქვს ან წარსულში ჰქონია.

გაწევრიანების საკანონმდებლო ჩარჩო

ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებით (Treaty on European Union), გაერთიანების გაფართოება ორი მუხლით რეგულირდება.⁵ 49-ე მუხლის მიხედვით, ევროპის კავშირის წევრი შესაძლოა “ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო” გახდეს, თუ ის, ამავე ხელშეკრულების მე-2-ე მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ პრინციპებს აკმაყოფილებს: “ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, მათ შორის უმცირესობების უფლებების პატივისცემა.”

აღსანიშნავია, რომ ტერმინი “ევროპა” ევროპის კავშირის არცერთ დოკუმენტში არაა განმარტებული. არ არსებობს ტერმინის საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრებაც. ამიტომ, კითხვა იმაზე თუ სად მთავრდება ევროპა და შესაბამისად, ევროპის კავშირის გაფართოების არეალი, პასუხგაუცემელი რჩება. ამის მიუხედავად, ევროპის კავშირის გაფართოების პრაქტიკა მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, რომ ევროპის კავშირში გასაწევრიანებლად, გეოგრაფიული კრიტერიუმების გარდა, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ, ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებსაც.

ეს უკანასკნელი, განსაკუთრებით თვალსაჩინოა თურქეთისა და კვიპროსის მაგალითებზე. თურქეთი, რომლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი აზიის კონტინენტზე მდებარეობს, გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ატარებს. კვიპროსი კი, რომელიც გეოგრაფიულად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან უფრო ახლოსაა ვიდრე კონტინენტური ევროპის ქვეყნებთან, ევროპის კავშირის წევრია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულება ცალსახად გამორიცხავს ისეთი ქვეყნების გაერთიანებაში გაწევრიანებას, რომლებიც არც გეოგრაფიული და არც ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით არ მიეკუთვნებიან ევროპის კონტინენტს.⁶ ამის თვალსაჩინო მაგალითია მაროკო, რომლის 1987 წლის 20 ივლისის გაწევრიანების განაცხადი საბჭომ იმავე წლის 1 ოქტომბერს უარყო იმ მიზეზით, რომ მაროკო ევროპული სახელმწიფო არ იყო.⁷

⁵ EUR-Lex - 12012M/TXT - EN - EUR-Lex. ხელმისაწვდომია: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A12012M%2FTXT>

⁶ ბრეგამე, რატი. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკური ნების განხორციელების სამართლებრივი გზები. 2009. ხელმისაწვდომია: <http://gfsis.org/media/download/geplac/European-Union-and-Georgia.pdf>

⁷ Legal questions of enlargement, European Parliament. ხელმისაწვდომია: http://www.europarl.europa.eu/enlargement/briefings/23a2_en.htm#F7

ევროპის კავშირში გაწევრიანების კრიტერიუმები შედარებით უფრო დეტალურად და ფართოდ არის წარმოდგენილი 1993 წლის კოპენჰაგენის ევროპული საბჭოს დასკვნაში. დოკუმენტის თანახმად, გასაწევრიანებლად კანდიდატმა სახელმწიფომ წევრად მიღების სამი - პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული - კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს. ეს კრიტერიუმები “კოპენჰაგენის კრიტერიუმების” სახელწოდებით არის ცნობილი. ესენია:

- სტაბილური ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და უმცირესობების დაცვასა და პატივისცემას;
- საბაზრო ეკონომიკა და ევროპის კავშირში არსებულ საბაზრო კონკურენციასთან გამკლავების უნარი;
- წევრობის ვალდებულებების აღების უნარიანობა, მათ შორის ევროპის კავშირის წესებისა და კანონების ერთობლიობის (acquis communautaire) გადაღება და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირთან მიერთება.⁸

გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მზაობასთან ერთად, კოპენჰაგენის კრიტერიუმებით, თანაბარმნიშვნელოვანია საკუთრივ ევროპის კავშირის მზაობის საკითხიც, რასაც “ინტეგრაციის უნარიანობას (integration capacity) უწოდებენ. ამ უკანასკნელის მიზანი ისაა, რომ გაფართოების კვალდაკვალ, ევროპის კავშირმა არ უნდა დაკარგოს ევროპული ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების ტემპი.

გაწევრიანების პროცედურები

ევროპის კავშირში გაწევრიანების პროცესი სამი ძირითადი ფაზისგან შედგება. პირველ რიგში, გაწევრიანების მსურველი ქვეყანა **განაცხადს** უგზავნის (როგორც წესი, წერილის სახით) ევროპის კავშირის საბჭოს (Council of the European Union), რომელიც ევროპული კომისიის (European Commission) თვალსაზრისზე დაყრდნობით ერთხმად წყვეტს მიენიჭოს თუ არა განმცხადებელს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. შეტყობინება განაცხადის შეტანის თაობაზე ეგზავნება ევროპულ პარლამენტს და წევრი ქვეყნების პარლამენტებსაც.

დასკვნის შემუშავებისას ევროპული კომისია სხვადასხვა წყაროთი ხელმძღვანელობს, მათ შორის ეყრდნობა გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მიერ შევსებულ კითხვარსაც (Questionnaire). კითხვარი ქვეყანას კომისიის მიერ ეგზავნება და პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული კრიტერიუმების მიმართ მის მზადყოფნას ამოწმებს. კითხვების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია: ხორვატიის კითხვარი 4 560 კითხვას მოიცავდა, მონტენეგროს - 2 178, ესტონეთის კი - 1 000-ზე მეტს. როგორც წესი,

⁸ Conclusions of the Presidency, European Council in Copenhagen, 1993. ხელმისაწვდომია: <http://www.consilium.europa.eu/en/european-council/conclusions/pdf-1993-2003/PRESIDENCY-CONCLUSIONS - COPENHAGEN-EUROPEAN-COUNCIL -21-AND-22-JUNE-1993/>

პასუხის გასაცემად გაწვევრიანების მსურველ ქვეყანას სამი თვე ეძლევა, თუმცა, არსებობს ამ პერიოდის გახანგრძლივების პრაქტიკაც.

კანდიდატის სტატუსის მიღების შემდგომ გაწვევრიანების მეორე ფაზა - **მოლაპარაკებების პროცესი** (Accession Negotiations) იწყება. ეს ფაზა, თავის მხრივ, ორი კომპონენტისგან შედგება: ე. წ. სკრინინგი (Screening) და საკუთრივ მოლაპარაკებები.

სკრინინგის პროცესის დროს, ევროპის კავშირის წესებისა და კანონების ერთობლიობასთან - იგივე “acquis communautaire-თან” - კანდიდატი ქვეყნის თავსებადობის ანალიზი ხდება. პროცესი ევროპული კომისიის და კანდიდატი ქვეყნის მიერ ხორციელდება და მისი მიზანშეწონიერებას, ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლევა უკეთ გაეცნოს acquis მოთხოვნებს და შეიმუშაოს ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გეგმა. ამ ეტაპს მოჰყვება მთავრობათშორისი კონფერენციის ფარგლებში მოლაპარაკებები acquis-ის 35 მიმართულებაზე.

მოლაპარაკებების პროცესში, კანდიდატი ქვეყნები ვალდებული არიან ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ცვლილებები განახორციელონ და ეროვნული კანონმდებლობა ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან თავსებადი გახადონ. ასე მაგალითად, მუშახელის თავისუფლად გადაადგილების თავის მიხედვით (მეორე თავი), კანდიდატმა ქვეყანამ ევროპის კავშირის მოქალაქეებს შრომის უფლება უნდა მისცეს და მათი თანაბარი მოპყრობა უზრუნველყოს. საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის (ოცდამეთერთმეტე თავი) თავი კი, კანდიდატ ქვეყნებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში პოლიტიკური დიალოგის გამართვას, ევროპის კავშირის განცხადებებთან მიერთებას და მის ქმედებებში მონაწილეობას (მათ შორის სანქციები და სხვა შემზღვეველი ზომები) ავალდებულებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ევროპის კავშირის acquis communautaire 100 000-ზე მეტი გვერდის მოცულობისაა, მოლაპარაკებების ფაზა გაწვევრიანების პროცესში ყველაზე შრომატევადია. მოლაპარაკებების ხანგრძლივობა განსხვავებულია და რეფორმების გატარების ტემპზეა დამოკიდებული; რაც უფრო სწრაფად სრულდება ცალკეული თავების მოთხოვნები, მით უფრო ახლოვდება კანდიდატი ქვეყანა წევრობასთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანდიდატი ქვეყნებისთვის, მოლაპარაკებების ფარგლებში მხოლოდ მცირე გამონაკლისების დაშვებაა შესაძლებელი, როდესაც კონკრეტული კანონების ჰარმონიზაციის გადავადება ხდება. ზოგადად კი, საბოლოო გაწვევრიანებამდე კანდიდატმა ქვეყანამ ევროპის კავშირის წესები და კანონები მთლიანად უნდა დანერგოს.

მოლაპარაკებები 35-ე თავის მიხედვით იმართება და ცალკეული თავი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა დასრულებულად, თუ ევროპის კავშირის საბჭო დადებით დასკვნას დადებს (კომისიის თვალსაზრისზე დაყრდნობით). მთლიანი მოლაპარაკებების პროცესი დასრულებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ თითოეულ თავზე დასრულდება

მოლაპარაკება და მას კომისიის თვალსაზრისზე დაყრდნობით, ევროპის კავშირის საბჭო დაადასტურებს. ამ უკანასკნელ ეტაპზე, საჭიროა ევროპული პარლამენტის თანხმობაც.

შემდგომი ეტაპი **გაწევრიანების ხელშეკრულების გაფორმება (Accession Treaty)**, სადაც წევრობის პირობები, გაწევრიანების ვადები და გარდამავალი ზომებია აღწერილი. ხელშეკრულება ძალაში შედის საბჭოს, კომისიისა და პარლამენტის მხარდაჭერის, კანდიდატი ქვეყნისა და წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების ხელმოწერების და თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების შემდეგ.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან საბოლოო გაწევრიანებამდე პერიოდში (გაწევრიანების თარიღი ხელშეკრულებაშია დათქმული), გაწევრიანების მსურველი ქვეყანა წევრობის მომლოდინე ქვეყნის სტატუსს (Acceding Country) ატარებს. ამ პერიოდში, მომლოდინე ქვეყანა ევროპულ ინსტიტუტებში “აქტიური დამკვირვებლის” სტატუსითა და ევროპის კავშირის დოკუმენტებზე შენიშვნების გაკეთების უფლებით სარგებლობს.

კანდიდატები, პოტენციური კანდიდატები და ევროპული პერსპექტივა

ევროპის კავშირში გაწევრიანების გზაზე მდგარი ქვეყნები ორ სტატუსს ატარებენ - პოტენციური კანდიდატი, ანუ ქვეყანა, რომელმაც ევროპის კავშირში გაწევრიანების დაპირება ე.წ. “ევროპული პერსპექტივა მიიღო”, და კანდიდატი ქვეყანა, რომელიც გაწევრიანების მოლაპარაკებების პროცესშია. ამჟამად, გაწევრიანების მომლოდინე შვიდი ქვეყნიდან ხუთი - ალბანეთი, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი და თურქეთი - კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ატარებს, ხოლო ორი - ბოსნია და ჰერცეგოვინა და კოსოვო - პოტენციური კანდიდატის სტატუსს.

“ევროპული პერსპექტივა” (European Perspective) ევროპის კავშირის გაფართოებასთან დაკავშირებული დიპლომატიური ტერმინია, რომელიც მომავალში წევრობის დაპირებას გულისხმობს. გაფართოების კონტექსტში აღნიშნული ტერმინი პირველად 2002 წლის კოპენჰაგენის ევროპული საბჭოს შეხვედრის დასკვნაში გამოიყენეს. დოკუმენტის თანახმად, ევროპული საბჭო, კოპენჰაგენის 1993 წლის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების “ევროპულ პერსპექტივას” ადასტურებდა.⁹ ევროპული საბჭო ამავე წინადადებაშივე მოიხმობდა 2000 წლის ევროპული საბჭოს ფეირას შეხვედრის დასკვნასაც, რომლითაც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს ევროპის კავშირის წევრობის “პოტენციური კანდიდატის” სტატუსი მიენიჭათ.¹⁰

⁹ Conclusions of the Presidency, European Council in Copenhagen, 2002. ხელმისაწვდომია: http://www.consilium.europa.eu/en/european-council/conclusions/pdf-1993-2003/PRESIDENCY-CONCLUSIONS_COPENHAGEN-EUROPEAN-COUNCIL_-12-AND-13-DECEMBER-2002/

¹⁰ Conclusions of the Presidency, European Council in Santa Maria de Feira, 2000. ხელმისაწვდომია: <http://www.consilium.europa.eu/en/european-council/conclusions/pdf-1993-2003/SANTA-MARIA-DA-FEIRA-EUROPEAN-COUNCIL--PRESIDENCY-CONCLUSIONS-19-20-JUNE-2000/>

ალბანეთმა, მაკედონიამ, ბოსნია და ჰერცეგოვინამ, სერბეთმა და მონტენეგრომ ევროპის კავშირში გაწევრიანების დაპირება, ევროპული საბჭოს სალონიკის შეხვედრაზეც მიიღეს.¹¹ რაც შეეხება კოსოვოს, მას ევროპის კავშირში გაწევრიანების პერსპექტივა 2005 წელს ევროკომისიის კომუნიკაციაში “კოსოვოს ევროპული მომავალი” მიენიჭა, სადაც ჩაიწერა, რომ 2003 წლის გადაწყვეტილება კოსოვოზეც ვრცელდება.¹²

ევროპის კავშირში გაწევრიანების დაპირება ბალკანურმა ქვეყნებმა სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმებებითაც მიიღეს, სადაც მკაფიოდ ჩაიწერა, რომ კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პოტენციური კანდიდატები ევროპის კავშირის სრულყოფილებიანი წევრები გახდებოდნენ.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ტერმინს უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე პრაქტიკული. არ არსებობს განსაზღვრული წესები, რომლის მიხედვითაც ქვეყანას “ევროპული პერსპექტივა” ეძლევა. არც მისი მინიჭება ნიშნავს ევროპის კავშირში წევრობის პოტენციური კანდიდატის ან კანდიდატის სტატუსის ავტომატურად მიღებას. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების მაგალითი ნათლად მეტყველებს, რომ “ევროპული პერსპექტივა” მხოლოდ იმიტომ გაიგივდა პოტენციური კანდიდატის სტატუსთან, რომ ამ ქვეყნებს უკვე ჰქონდათ ეს სტატუსი მიღებული.

ამის მიუხედავად, ტერმინს ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. “ევროპული პერსპექტივა” პოლიტიკური დაპირებაა, რომ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ქვეყანა ოდესმე გახდება ევროპის კავშირის წევრი. მისი ხშირი გამოყენება კი, ხელს უწყობს ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანების თაობაზე ევროპულ ინსტიტუტებში კონსენსუსის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას.

ევროპული პერსპექტივა და საქართველო

დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს აღმოსავლელი მეზობლების მიმართ გაწევრიანების თაობაზე დაპირება არ გაუციათ. ბალკანურისგან განსხვავებით, წევრობის დაპირებას არ გულისხმობს მოლდოვის, უკრაინის და საქართველოს ასოცირების შეთანხმებებიც.

ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების არაერთი მცდელობის მიუხედავად, “ევროპული პერსპექტივა” საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულებაში ჯერ არ ასახულა. შედეგად, ასოცირების შეთანხმება საქართველოს

¹¹ Conclusions of the Presidency, European Council in Thessaloniki, 2003. ხელმისაწვდომია: http://europa.eu/rapid/press-release_DOC-03-3_en.htm

¹² A European Future for Kosovo, European Commission Communication, 2005. ხელმისაწვდომია: http://europa.eu/rapid/press-release_IP-05-450_en.pdf

მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანად “აღიარებს” და მის ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს “ცნობს”.¹³

მართალია, ევროპის კავშირის მთავრობათაშორისი ინსტიტუტების დონეზე (ევროპული საბჭო, ევროპის კავშირის საბჭო) საქართველოს გაწევრიანების თაობაზე დაპირება არ გაცემულა, საქართველოს “ევროპული პერსპექტივის” შესახებ საუბარია ევროპული პარლამენტის რამდენიმე რეზოლუციაში, რაც ცალსახად დადებითი მოვლენაა.

საქართველოს “ევროპული პერსპექტივის” შესახებ პირველად 2011 წელს, ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებების შესახებ ევროპული პარლამენტის რეზოლუციაში ჩაიწერა.¹⁴ დოკუმენტის მიხედვით, ევროპარლამენტი ევროპულ ინსტიტუტებს მოუწოდებს საქართველო ევროპულ სახელმწიფოდ მიიჩნიონ და აღიარონ მისი ევროპული მისწრაფებები, მათ შორის ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილი. რეზოლუციის თანახმად, ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მიმდინარე მოლაპარაკებები “ევროპულ პერსპექტივაზე” უნდა იყოს დამყარებული, “რაც რეფორმების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და ამ რეფორმების განხორციელებისთვის საჭირო საზოგადოებრივი მხარდაჭერის კატალიზატორია.”

იგივეს ამბობს 2014 წლის 17 აპრილის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესახებ რეზოლუცია. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ასოცირების შეთანხმებები მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს ევროპის კავშირთან ურთიერთობაში “საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს” და რომ ამ ქვეყნებს - როგორც ნებისმიერ სხვა ევროპულ სახელმწიფოს - “აქვთ ევროპული პერსპექტივა და შეუძლიათ ევროპის კავშირის წევრები გახდნენ, თუ დემოკრატიის პრინციპებს აღიარებენ, პატივს სცემენ ფუნდამენტურ თავისუფლებებს, ადამიანისა და უმცირესობების უფლებებს და უზრუნველყოფენ კანონის უზენაესობას.”¹⁵

იგივეს ამბობს 2016 წლის 21 იანვრის მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმებების შესახებ ევროპული პარლამენტის რეზოლუცია.¹⁶ დოკუმენტის თანახმად, ევროპის კავშირის წევრი შეიძლება გახდეს “ნებისმიერი ევროპული ქვეყანა, თუ ის დემოკრატიის პრინციპებს აღიარებს, პატივს სცემს ფუნდამენტურ თავისუფლებებს, ადამიანისა და უმცირესობების უფლებებს და უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას.”

¹³ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება. ხელმისაწვდომია:

<http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmehis-shesaxeb/associationagreement1>

¹⁴ Negotiations of the EU-Georgia Association Agreement, European Parliament Resolution, 2011. ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&language=EN&reference=P7-TA-2011-0514>

¹⁵ Eastern Partnership countries and in particular destabilisation of eastern Ukraine, European Parliament Resolution, 2014. ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2014-0457+0+DOC+XML+V0//EN>

¹⁶ Association Agreements/Deep and Comprehensive Free Trade Areas with Georgia, Moldova and Ukraine, European Parliament Resolution, 2016. ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P8-TA-2016-0018&language=EN&ring=P8-RC-2016-0068>

საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანების მისწრაფებებზე საუბარი ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის ოთხივე სხდომის ერთობლივ განცხადებაში. მაგალითად, 2017 წლის 15-16 თებერვლის სხდომის განცხადებაში აღნიშნულია, რომ “ასოცირების შეთანხმება არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს ევროპის კავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში.” დოკუმენტის მიხედვით, “ევროპის კავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად... საქართველოს, როგორც ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, შეუძლია გააკეთოს განაცხადი ევროპის კავშირის წევრობისათვის.”¹⁷

“ევროპულ პერსპექტივას” ახსენებს ვიშეგრადის ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრების 2017 წლის 12 აპრილის ერთობლივი დეკლარაციაც. დოკუმენტის მიხედვით, პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთისა და სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრები თანხმდებიან, რომ 2017 წლის ნოემბერში ბრიუსელში დაგეგმილი “აღმოსავლეთ პარტნიორობის” სამიტის დეკლარაციაში პარტნიორი ქვეყნების განსხვავებული მისწრაფებები უნდა აისახოს და დაინტერესებული პარტნიორებისთვის “ევროპული პერსპექტივა” უნდა იქნას შეთავაზებული.¹⁸

“ევროპული პერსპექტივის” შესახებ საუბრობენ ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსებიც. ასე მაგალითად, 2017 წლის 27 თებერვალს საქართველოში ვიზიტად მყოფმა მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა საქართველოსთან დაკავშირებით ტერმინი “ევროპული პერსპექტივა” ორჯერ ახსენა.¹⁹

გაწევრიანების ინიცირების ორი ალტერნატივა

ევროპის კავშირში გაწევრიანების მიზნის მისაღწევად ორი ძირითადი გზა არსებობს: განაცხადი ევროპული პერსპექტივის გარეშე და განაცხადი ევროპული პერსპექტივით - ე. წ. დასავლეთ ბალკანური გზა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს, როგორც ასოცირების შეთანხმებით აღიარებულ (აღმოსავლეთ) ევროპულ სახელმწიფოს, ევროპის კავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლზე დაყრდნობით, ნებისმიერ დროს შეუძლია გაწევრიანების განაცხადი შეიტანოს. განაცხადის შეტანის პროცედურა საკმაოდ მარტივია და განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ საჭიროებს.

კვლევის პროცესში განხორციელებული ზოგადი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს შეუძლია წარმატებით დააკმაყოფილოს მოლაპარაკებების დასაწყებად საჭირო კრიტერიუმები. ბოლო წლებში საქართველოს მიერ ევროპული ინტეგრაციის გზაზე

¹⁷ Final Statement and Recommendations, EU-Georgia Parliamentary Association Committee, 2017. ხელმისაწვდომია: <http://parliament.ge/uploads/other/56/56082.pdf>

¹⁸ Joint Statement on the Eastern Partnership of the Foreign Ministers of the Visegrad Group, 2017. ხელმისაწვდომია: <http://www.ms.gov.pl/resource/ac5ad3be-60ef-44bb-9f21-3b44bc5c451a:JCR>

¹⁹ სივილ ჯორჯია, ევროკომისარი საქართველოს ‘ევროპული პერსპექტივის’ შესახებ საუბრობს, 2017. ხელმისაწვდომია: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=29890>

გადადგმული ნაბიჯებით (ვიზის ლიბერალიზაცია, ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება), ქვეყნის კანონმდებლობა დაუახლოვდა acquis-ს, რაც ევროპული კომისიის კითხვარის წარმატებით შევსების ნაწილობრივი წინაპირობაა. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ გაწევრიანების ბოლო ორი რაუნდის განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების (Europe Agreements) და დასავლეთ ბალკანური ქვეყნების (Stabilization and Association Agreements) ასოცირების შეთანხმებები გაწევრიანების პროცესის კვალდაკვალ ხორციელდებოდა და acquis-სთან თავსებადობის გაზრდის ერთგვარ იურიდიულ ჩარჩოდ გვევლინებოდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის კავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანისგან თავი უნდა შეიკავოს მანამ, სანამ ქვეყანა ბრიუსელიდან და წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებიდან “ევროპულ პერსპექტივას” არ მიიღებს (**1-ლი ვარიანტი**). სწორედ ეს გზა განვლეს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებმა, რომლებმაც კანდიდატობამდე პოტენციური კანდიდატის სტატუსი მოიპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურულად, საქართველოს არაფერი უშლის ხელს დღესვე გააკეთოს წევრობაზე განაცხადი, ასოცირების შეთანხმების ტექსტში “ევროპული პერსპექტივის” ტერმინის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (მათ შორის, საქართველოს) ევროპული მომავლის შესახებ ზოგადი კონსენსუსის არარსებობა, ბუნდოვანს ხდის საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანებას საკითხს.

ამასთან, ჯერჯერობით არ არსებობს სტრატეგიული, კონცეპტუალური ან სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც გაწევრიანების გზაზე საქართველოს მთავრობის მიზნებს, ამოცანებს და გადასადგმელ ნაბიჯებს ერთად მოუყრიდა თავს. მიხეილ ჯანელიძის მიერ 27 მარტს გაცხადებული სამოქმედო გეგმა უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ის ამ ეტაპზე ზოგადია და წარმოდგენილი ფორმით, პროცესში მისით ხელმძღვანელობა ვერ მოხერხდება. არ განხორციელებულა ევროპის კავშირის ცალკეული კრიტერიუმების მიმართ საქართველოს მზადყოფნის ანალიზიც.

განაცხადის გაუაზრებლად და პოლიტიკური საფუძვლების მოუმზადებლად გაკეთებამ კი, შესაძლოა განუსაზღვრელი ვადით გადადოს ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება ან საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქართველოს ევროპული მომავალი. მხედველობაში მისაღებია გაფართოების მიმართ ევროპაში არსებული სკეპტიციზმიც. ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე ძნელად წარმოსადგენია, რომ დღეს, საქართველოს განაცხადს ბრიუსელში სიხარულით შეხვდნენ. მით უფრო, რომ ევროპული კომისიის პრეზიდენტის ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებით, ევროპის კავშირის გაფართოება 2019 წლამდე არ განხორციელდება. თუმცა, აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ იუნკერმა ევროკავშირში 2019 წლამდე ახალი წევრების (არ) მიღება იგულისხმა და არა გაწევრიანებაზე განაცხადის გაკეთების დაუშვებლობა. ამის მაგალითია ბოსნია-ჰერცეგოვინა, რომელმაც განაცხადი 2016 წელს გააკეთა.

ამ გზით (ევროპული პერსპექტივის მიღება) წასვლის დადებითი მხარე ისიცაა, რომ ქვეყანა შესაძლოა განაცხადის შეტანის გარეშე იქცეს პოტენციურ კანდიდატად და შესაბამისად,

შეიძლება ყველა ის სარგებელი გამოიყენოს, რითიც კანდიდატი ქვეყნები სარგებლობენ, მეტადრე კი, The Instrument for Pre-Accession Assistance-ით (IPA II).²⁰ IPA II ევროპის კავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტია, რომელიც პოტენციურ კანდიდატ და კანდიდატ ქვეყნებს მტკივნეული რეფორმების განხორციელებისთვის, ახალი რეგულაციების და ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ფინანსურ მხარდაჭერას უწევს.

თუმცა, აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ “ევროპული პერსპექტივის” მისაღებად, საქართველომ შესაძლოა უფრო მეტ შედეგს მიაღწიოს უკრაინასთან და მოლდოვასთან ან მხოლოდ მოლდოვასთან ერთად. ერთი რეგიონიდან მხოლოდ საქართველოს გამორჩევა და პოტენციური კანდიდატის სტატუსის მხოლოდ მისთვის მინიჭება, არარეალისტური მიზანი შეიძლება აღმოჩნდეს. გაფართოების წინა ტალღებიც ამას მოწმობს; ევროპის კავშირი რამდენიმე ქვეყნის ერთად მიღებას უფრო ამჯობინებდა, ვიდრე ცალკეული ქვეყნების გაწევრიანებას.

ევროპული პერსპექტივის ვერ მიღების შემთხვევაში, არსებობს საქართველოს მიერ გაწევრიანების განაცხადის გააზრებულად და პოლიტიკური საფუძვლების მომზადების გზით გაკეთების გზა (**მე-2 და პრაქტიკულად მთავარი ვარიანტი**). ამ მხრივ, შესაძლებლობები 2019 წლიდან უფრო იზრდება. ამ ეტაპზე, საქართველო ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილის დამასრულებელ ეტაპზე იქნება და გაწევრიანების კრიტერიუმების გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნა ექნება დაკმაყოფილებული. 2019 წელსვე იცვლება ევროპული კომისიის შემადგენლობა და იწურება კომისიის მიერ გაფართოებაზე დაწესებული ერთგვარი მორატორიუმიც. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ეს მორატორიუმი 2019 წლის შემდეგაც გაგრძელდეს, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნულის ბოლომდე განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შესაძლებლობის ერთგვარი ფანჯარა 2019/2020 წლებში დიდი ალბათობით ექნება, რაც მან გონივრულად უნდა გამოიყენოს.

შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ **საქართველოს მთავრობამ დაიწყოს და შეიმუშაოს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკა (Roadmap)**, რომელშიც უნდა აისახოს ყველა ის ძირითადი ამოცანა, საქმიანობა და ეტაპი, რაც ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება გაიაროს ევროპის კავშირში გაწევრიანებამდე. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად (ასოცირებისა და ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების წარმატებით შესრულება; კითხვარზე მუშაობა; საკანონმდებლო სკრინინგის წინასწარი პროცესი; ევროკავშირის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან მაქსიმალური ინტეგრაცია; ევროკავშირის მოქმედ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდა; ევროკავშირის სტრუქტურებთან მოლაპარაკებების სტადიიდან თანამშრომლობის სტადიაზე გადასვლა; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაღრმავებული დიალოგი

²⁰ თუმცა, როგორც აქამდე აღვნიშნეთ, პოტენციური კანდიდატის სტატუსის მისაღებად “ევროპული პერსპექტივის” მინიჭება არ კმარა: საჭიროა, ევროპული ქვეყნების მიერ ცალკე გადაწყვეტილების მიღება (ევროპული საბჭოს დონეზე), სადაც მკაფიოდ ჩაიწერება, რომ ქვეყანას პოტენციური კანდიდატის სტატუსი ენიჭება. ტერმინი “ევროპული პერსპექტივის” გამოყენება, მხოლოდ ხელს შეუწყობს ამ პროცესს.

და სხვა), სწორედ საგზაო რუკაში უნდა განისაზღვროს და დასახელდეს ის ოპტიმალური თარიღი, როცა საქართველომ ევროპის კავშირის საბჭოში გაწევრიანებაზე განაცხადი უნდა შეიტანოს.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საგზაო რუკის მომზადება ნებისმიერ შემთხვევაში - ევროპული პერსპექტივის მიღების თუ მისი ვერ მიღების შემთხვევაში - საჭირო და აუცილებელია. თუმცა, ევროპული პერსპექტივის ახლო მომავალში ვერ მიღების შემთხვევაში (რაც მოსალოდნელია), სწორედ საგზაო რუკა გახდება ის მთავარი დოკუმენტი და ბერკეტი საქართველოს მთავრობის ხელში, რითაც ის ევროკავშირზე და პარტნიორებზე ერთგვარი პოზიტიური ზეწოლის განხორციელებას იწყებს და მათ საქართველოს ამ ნაბიჯთან დაკავშირებით შეაგუებს. ამასთან, საქართველო ამას გააკეთებს როგორც პასუხისმგებლიანი სახელმწიფო და პარტნიორი, ვინაიდან, ერთი მხრივ ის იყენებს თავის უფლებას, გააკეთოს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი, მეორე მხრივ კი, ამას აკეთებს არა დაუყოვნებლივ, არამედ აცნობიერებს, რომ ის ამას აკეთებს მაშინ, როცა შესაბამის წინაპირობებს აკმაყოფილებს.

შეჯამება და რეკომენდაციები

ასოცირების შეთანხმების გაფორმებით და საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო მოთხოვნის გაუქმებით, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესმა ახალ საფეხურზე გადაინაცვლა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილის თაობაზე.

ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილის მკაფიოდ დაფიქსირება ცალსახად მისასაღამებელია, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გაერთიანებაში შესვლა, პოლიტიკური ნების გარდა, სხვა მრავალი წინაპირობის შესრულებას და ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესის გავლას მოითხოვს.

მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველომ მიზნის მისაღწევად ორი ამოცანა უნდა დაისახოს - 1) ქვეყნის შიგნით სათანადო პოლიტიკური ნიადაგის მომზადება, როგორც გაწევრიანების საგზაო რუკის შემუშავების, ისე acquis-სთან თავსებადობის შესწავლის და გაზრდის თვალსაზრისით; 2) ევროპულ ინსტიტუტებში (მეტადრე ევროპის კავშირის საბჭო, ევროპული საბჭო) და ევროპის დედაქალაქებში აზრის მომწიფება, რომ საქართველო იმსახურებს ევროპულ პერსპექტივას. უფრო კონკრეტულად, სასურველია:

- გახშირდეს საქართველოს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ევროპის კავშირში გაწევრიანების სურვილის თაობაზე პოლიტიკური განცხადებები;
- დაიწყოს საჯარო დისკუსიები საქართველოს გაწევრიანების თაობაზე;

- მთავრობამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და think tank-თან თანამშრომლობით შეიმუშაოს ევროპის კავშირში გაწევრიანების სტრატეგიული დოკუმენტი - საგზაო რუკა, სადაც საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის შესაბამისი ეტაპები გაიწერება, მათ შორის განისაზღვრება ის ოპტიმალური თარიღი (მაგალითად 2019/2020 წელი), როდესაც საქართველომ უნდა გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე და დაიწყოს შესაბამისი პროცედურები;
- საქართველომ ცალმხრივად შეავსოს კითხვარი (questionnaire), რათა წინმსწრებად შეფასდეს პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული კრიტერიუმების მიმართ ქვეყნის მზადყოფნის საკითხი. სასურველია, რომ ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლებამ უახლესი (მაგ. ბონისის) კითხვარით იხელმძღვანელოს;
- საქართველოს ხელისუფლებამ გააქტიუროს ძალისხმევა “ევროპული პერსპექტივის” მიღებასთან დაკავშირებით; გააქტიურდეს მუშაობა ევროპის კავშირის მთავრობათაშორისი ინსტიტუტების დონეზე (ევროპული საბჭო, ევროპის კავშირის საბჭო) ევროპული პერსპექტივის მიღების მიზნით. განსაკუთრებული ძალისხმევა გაიწიოს 2017 წლის ნოემბრის ბრიუსელის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე საქართველოს ევროპული პერსპექტივის დაფიქსირების მიზნით;
- “ევროპული პერსპექტივის” მისაღებად, საქართველოს ნაბიჯები კოორდინირებული იყოს უკრაინასთან და მოლდოვასთან ან მხოლოდ მოლდოვასთან, რადგან ერთი რეგიონიდან მხოლოდ საქართველოს გამორჩევა და პოტენციური კანდიდატის სტატუსის მხოლოდ მისთვის მინიჭება, არარეალისტური მიზანი შეიძლება აღმოჩნდეს. ამის მიუხედავად, საქართველო უნდა იტოვებდეს დამოუკიდებლად მოქმედების და საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილებების ინდივიდუალურად მიღების შესაძლებლობასაც;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით, გაღრმავდეს ბალკანურ ქვეყნებთან დიალოგი;
- მოიძებნოს საქართველოს გაწევრიანების ძლიერი მხარდამჭერი სახელმწიფო/ები ევროპის კავშირში. ყურადღება გამახვილდეს, როგორც საქართველოს ტრადიციულ პარტნიორ ქვეყნებზე, ისე წამყვან სახელმწიფოებზე, როგორცაა გერმანია და საფრანგეთი;
- გაგრძელდეს ევროპულ პარლამენტთან საქართველოს გაწევრიანების საკითხის ადვოკატირება, განსაკუთრებით კი ქვეყნის მხარდამჭერ ისეთ პოლიტიკურ ჯგუფებთან, როგორცაა ევროპის სახალხო პარტია. პოლიტიკურ ჯგუფებთან საქართველოს ინტერესების უკეთესად წარმოსაჩენად გამოყენებულ იქნას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების პლატფორმა;

- გაგრძელდეს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულება და ამ პროცესის acquis-სთან თავსებადობის თვალსაზრისით მუდმივი შეფასება (screening);
- მომზადდეს ნიადაგი 2019 ან 2020 წელს ევროპის კავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანისთვის, იმის მიუხედავად მიაჩნებენ თუ არა ქვეყანას „ევროპულ პერსპექტივას“.